

12  
3

იურიანის გენერალური ბეჭდების 35/2.

8  
135  
Q. E.  
კურორტული ცენტრი  
აკად. ვ. გრიშაშვილი  
M. 719.



თბილისი

ს. 3 ბ. დიასამიძე, ს. 1. || თ. გ. დ. დიასამიძე, დ. 1908

თ რ 0

6 - 48 - 0

# პუბლიცისტური სტატია

აკაკი წერეთლისა

გუმდგნი ი. ქაიხსრო გელოვანი

1937

053.


1458

83.

30.

606.

153. 6326.19.  
39. 39.



სი. გ. ნ. დიასამიძე, სახ. ქ. 1908 წ. თბილისის უნივერსიტეტის  
ცისლიბრარიუმი, თბილისი, სახ. ქ. 1908 წ. თბილისის უნივერსიტეტის  
ცისლიბრარიუმის  
1908

036603000

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 октября 1903 г.

## საანბანო ჭეშმარიცება.

~ ~ ~

ბერძნების წარმოდგენით, სიბრძნე იყო დედა, რომელსაც ეყოლა სამი ასული: სარწმუნოება, სასოება და სიკვარული. უამათოდ, ამათ დაუხმარებლად, ქვეყნიური შვება-ბედნიერება შეუძლებელი იყო და მიტომაც ყველა მათკენ მიისწრაფოდა. ნეტავი იმ ერს, რომელსაც ეს ალეგორია ესმის და სწამს!.. ის გინდ რიცხვ-მცირედიც იყოს, მაინც თვისისას გაიტანს.

ერთ დროს, ოდესმე ქართველებსაც ჰქონდათ ეს სიბრძნე ეროვნულად შესისხლ-ხორცებული, მაგრამ დღეს კი, როდესაც ზედაპირი სარჩულად მოგვექცა და სარჩული გაგვიჩედაპირდა, ბერძნებისაგან ჩვენ მიერ მიღებული ალეგორიაც გადაგვიუქულმართდა: სიბრძნის ადგილი უმეცრებამ დაიჭირა და წარმოშობა: ურწმუნოება, უსასოება და სიძულვილი. და სწორედ ამისთანა დრო და უამზეა ნათქვამი: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“. მაგრამ, სადაც ძალაუნებურად შეზრდილხარ, იმასთან კავშირს ვერ გასწყვეტ, სადაც უნდა იყო და როგორც... თაბორზე გაბრწყინვებული, თუ გოლგოთას ჯერზე განთხმული. ამ ნახევარ საუკუნის გან-

მავლობაში ცოტა გვინახავს დარი, უფრო მეტი ავ-დრიანი დღე გვდგომია, მაგრამ გაგვიძლია: ელვა-კექის არ შეგვშინებია, გრიგოლ-ქარიშხალს არ გავ-ქცევივართ, და სეტყვის დროს თავი სხვაგან არსად შეგვიფარებია, ყველა აგვიტანია... მესამოცე წლებ-ში პირველ ბიჯის გადადგმას წინ რა დაუხვდა, თუ არ ჰქება და ქუხილი? ნუ თუ მაშინდელი გარეშეთა რისხვა და შინაურთა სამდურავი ორივეზედაც უა-რესი არ იყო? სხვა-და-სხვა გვარ რეფორმების შე-მოღების დროს მეგანგაშეობა განა ქარიშხალზე ნა-კლებ მსუსხავი და საგრძნობელი იყო? და შინაგან საქმეების გაწესრიგების გამო, ერთმანეთში ატები-ლი შინაური ბრძოლა, სეტყვაზედაც უფრო მაზა-რალებელი ზოგიერთებისათვის, როდესაც, საზოგა-დოში გამტყუნებულ-დამარცხებულები, სამაგიეროს გადასახდელად, კერძოობაზე იყრიდნენ გულის ჯა-ვრსა? ამგვარი სამარცხვინო ბრძოლა დღესაც დიდ ყოფაშია, რასაც დღევანდელი არჩევნები გვიმტკი-ცებენ—და მაშინ ხომ რაღა უნდა ყოფილოყოს?! „სხვათა ჭირიო, ღობეს ჩხირიო“. ვისაც არა გადა-ხდომია-რა, ის რას დაეძებს? მაგრამ, აბა, ახლა ერ-თი მესამოცე წლების მოღვაწეებსაც ჰკითხეთ!.. მე ვამბობ აქ იმ თითო-ოროლა ნამდვილ მშრომლებზე, რომელთაც კიდეც დაეტყოთ, რომ მათ თავზე წის-ქვილის ქვას უტრიალია და არა იმ გუგულა მამუ-ლის შვილებზე, ჩვენს საბუდარში რომ მხოლოდ თა-ვის გამოსაჩენად, ხან-და-ხან უკაკანიათ და კვერცხი

კი სხვის საბუღარში უდფიათ!.. ამას ჩვენ არც კი გავიხსნებდით და არას ვიტყოდით, რომ იძულება არ გვადგეს. და ეს იძულება არის უსამართლო შეხება ჩვენს წარსულისა ზოგიერთებისაგან. სხვისი ვისიმე თავ-გადასავალის აწონ-გაზომა და დაფასება მხოლოდ მაშინ — იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც იმ სხვას სხვისი თავ-გადასავალი სავსებით აქვს უმეტ-ნაკლებოდ გათვალისწინებული. და ამისთვის კი საჭიროა ან თანამედროულობა, რომ ყოველივე თვითონ ენახოს და მოესმინოს, ან სარწმუნო ნათქეამის დაჯერება და ან კიდევ ნაწერების გადასინჯვა, თუმცა ეს უკანასკნელი საშუალებაც, როგორც ცენზურის ქარ-ცეცხლში გატარებული და აღვირ-ასხმული, უნაკლულოდ, სავსებით, ყველაფერს ვერ დაანახვებს. და ჩვენს წუნის მდებლებს კი არც ერთი ამ ზემომოყვანილ საბუთთაგანი ხელთ არ უჭირავთ. ასე გასინჯეთ, უკანასკნელიც კი, ესე იგი, ნაწერები, თვალისა და ხელ შუა გამოჰვარებით; არ წაუკითხავთ და თუ წაუკითხავთ, ან ვერ გაუგიათ და ან განზრახ მოუნდომებიათ გადაფუჩქება, რომ სხვებსაც მხარი აუქციონი. ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში ჩვენის მხრით მათი წაყრუება მათთვისვე არ ივარგებს. უნდა აღვიაროს კი, რომ შეკამათება ჩვენი და მათი თანასწორი არ იქმნება, რადგანაც დღეს ისინი უკეთესს საფარში სხედან და იმათ არა საიგავო კითხვებს ჩვენ კი იგავებით უნდა ვაგოთ ხოლმე პასუხი: „მიეცით კე-

ისრისა კეიისარსაო“ და სხვანი... დასაფიცავი აღარ არის, რომ იარაღი იმათ უფრო გასაბედავი უჭირავსთ ხელში, ვიდრე ჩვენ. მაგრამ ნათქვამია: „მელის შიშით ფარა ვის გაუწყვეტიაო“? შიშით ვერც ჩვენ ჩავიგუბებთ პირში წყალს და ვიტყვით, რამდენადაც კი მოსახერხებელია თქმა!.. მაგრამ შორიდან კი დავიწყებთ:— „ციხე შიგნიდან გატყდებაო“, საქართველოუც გვართა ბრძოლამ დაამხო. იქ, სადაც ჰაერი კეთილ-შეზავებულია და ნიადაგი სანაქებო, ყოლიფერი აღვილად აღმოცენდება და ხარობს... როგორც ია-ვარდი, ისე ეკალ-ნარიც. ძველად ქართველებს დიდი ვაჟკაცობის სახელი ჰქონდათ განთქმული და ამ პატარა სამეფომ მართლადა ბევრი შესანიშნავი გმირები წარმოშობა, მაგრამ ეს გმირები მტრებს უფრო გამოადგებოდენ ხოლმე, ვიდრე მოყვარეს. სპარსეთისა და ოსმალეთის გაძლიერებას ხშირად ხელს უწყობდენ და სამშობლოს კი, რომ შეეძლოთ, იმდენს ვერას უკეთებდენ. მაგალითად: გიორგი XI, ავლანისტანის დამპყრობელი, გიორგი სააკაძე, სპარსელების ძლევა-მოსილი სარდალი და ოსმალებისათვისაც ბალდადის ამღები, პატარა კახი, ინდოეთის კალთების მომსრველი და სხვ. რა უშლიდა ხელს ამ საოცარ გმირებს, რომ შინ იმდენს არას ახერხებდენ, რამდენ-საც გარეთ? გვართა ბრძოლის გამომწვევი შური და სიხარბე. მაგალითად: უცხოეთში სააკაძის მხრის მიმცემი, ან და მეგობარი ზურაბ ერცთავი, შინ და-

ბრუნების შემდეგ მტრად უხდება მასვე და ყოველ  
საქმეში წინ ეღობება. ახირებულია!.. და ეს ახი-  
რებულობა მარტო ზურაბს კი არა სჭირს, საზოგა-  
დო მოვლინებაა ყველასათვის საქართველოში. ერ-  
თი რომ წალმა სთესავს, მეორე უკუღმა ჰფარცხავს.  
და ერთი რომ ართავს, მეორე ჰსცარავს ჯიბრით  
გაბოროტებული, თითქოს ერთსა და იმავე დროს  
რამდენსამე გამოჩენილ პირს ვერ იტევს სამშობ-  
ლოო. ბევრჯელ გვითქვამს და ახლაც კიდევ უნდა  
გავიმეოროთ: მეცხვარის ძალლებს რომ ზოგჯერ  
ჩხუბი მოუვათ ხოლმე და ხორხხოზის დროს ერთმანე-  
თსა ჰგლეჯენ, მაშინ მწყემსები, სხვაფრივ რომ ველარა-  
ფრით აშველებენ, ვერც ქვით, ვერც ჯოხით და ვერც  
თავზე წყლის დასხმით, უკანასკნელ საშუალებას მი-  
ჰმართავენ ხოლმე. დაიყვირებენ: „არიქა მგელი!  
მგელი მოდისო“! და ძალლები, ამის გამგონე, მა-  
შინვე შესწყვეტენ ბრძოლას და ყველა ერთად  
მწყობრად მიაშურებენ გარეშე მტერს. საკვირველია,  
რომ საქართველოს დიდებულები კი ვერ ახერხებ-  
დენ ამას და პირიქით მირბოდენ მტრის მოსაცვანათ:  
გვიშველეთ, პირადათ ნუ გვაჭმევთ სირცხვილს და  
ჩემ სამწყსოს გინდ მუსრი გაავლეთო.

ამ საუბედურო სენით შეპყრობილია მხოლოდ  
მაღალი წოდება და მათი წარმომადგენელი ერის-  
თავ-დიდებულები, რომელთაც ქვეყნის მეთაურობა  
ეჭირათ ხელში და არა გაურჩევლად მთელი მაშინ-  
დელი თავად-აზნაურობა, როგორც ზოგიერთებსა

ჰელიონიათ. უმეტეს ნაწილს მაშინდელ თავად-აზნაურობისას ერთად ერთ წოდებასთან, ე. ი. გლეხობასთან, ქვეყნის სამსხვერპლოდ ჰქონდათ თავი გადადებული. და თუ ოდესმე მტრის რაზმს, ქართველებზე სამტროდ მოსულს, გვერდში ამოსდგომიან, ეს იძულებითი ყოფილა და არა სურვილით ჩადენილი. იმ ღრმას ხომ ყმა ბატონის სურვილს ვერ გაუდგებოდა, რომ მისი ბრძანება არ აესრულებინა, ისე, როგორც დღეს სალდათი ვალდებულია დაემორჩილოს ოფიცირობას. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ დღევანდელი სალდათი ყველგან სალდათია და მაშინდელი ყმა კი მარტო ბატონის ყმა იყო და ბატონის ნება-სურვილის გარეშე თავის საკუთარ აზრზე იდგა. ამას სხვათა შორის „მარაბდის ომიც“ გვიმტკიცებს, სადაც, იარაღი რომ აღარა ჰქონდათ, სულ კეტებით გადიოდა საომრად გლეხობა, ერთად თავად-აზნაურობასთან, ორივ ერთაც ძმურად სამსხვერპლოდ თავ-გადადებულნი. და ოჯახიდან თითო კი არა, ყველა, ვისაც კი ხელში იარაღის აღება შეეძლო, არ დაჰკლებია და სიკვდილს არ გაქცევია, ერთი მეორეზე ეჩერებოლნენ. მაგალითად 9 მმა ხერხეულიდე, 9 მმა მაჩაბელი, 7 მმა ჩოლაყაშვილნი და სხვანი. 9 ათასი ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე და მათ რიცხვში გამოჩენილი ვაჟ-კაც-გმირებიც: თეიმურაზ მუხრან-ბატონიშვილი, დავით ისლანიშვილი, ბაალურ ციციშვილი და სხვ... შემცდარია ის, ვინც ჩვენს წინაპრებს ყველას ერთ-

გვარად მოიხსენიებს და გაურჩევლად წუნს დასდებს გვართა ბრძოლაში. დიდი უსამართლობა იქნება, რომ დიდ მოურავს შადიმან ბარათაშვილი ამოცუ- ყენოთ გვერდში, აღბულა ათაბაგს—ბექა და გივი ამილახვარს მისი სახლიკაცები!.. ორად განიყოფე- ბოდა ძველი და ჩვენი თავად-აზნაურობა: ერთი ქვეყ- ნის მოყვარული და თავდადებული, მეორე გარეშე- რი, ორგული და მოლალატე. პირველი რომ ქვეყ- ნისთვის ფიქრობდა და ზრუნავდა, მეორეს მხოლოდ საკუთარი საპირადო ანგარიშები ახელმძღვანელებ- და. პირველის მცნება იყო გლეხეცური ანდაზა: „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდაღიც იქ არი- სო“! მეორესი კი: „სადაცა ვიყო რა მგამაო“ და „თუ მე აღარ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნულა ყოფი- ლაო“. საგულისხმოა: ეს ორი დასი ერთსა და იმა- ვე დროს, ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე ფესვზე ამონაცენი რათ განსხვავდებოდა ასე... აღზრდის ბრალი იყო: ერთს რომ დაბალ წოდებას- თან ერთად ქართლის ძუძუ ჰქონდა შენაწოვი, აღ- ზრდის დროს საფუძვლად „ვეფხვის-ტყაოსანი“ ჰქონ- და და სარქველად წმინდა სახარება, მეორე სხვის კარზე იზრდებოდა, სხვის გემოზე კი ფირდუსისა და მოგვთა ზღაპრების გავლენით გრძნობა-გონება გა- ხუნებულს მშობლიური აღარა ესისხლხორცებოდა რა. ამგვარად აღზრდილი გინდ მართლა გმირიც იყოს და ბოროტი არ სურდეს გის ქვეყნისათვის, მაინც ბევრ სიკეთეს ვერ მოუტანს, როგორც გა-

რეწარი და შინაურ ალლოს ველარ ამღები. ამას გვიმტკიცებს მაჰმადიან როსტომ მეფის მოღვაწეობა: არც ერთი მისი ზვარაკი სამშობლოსადმი წმინდა მსხვერპლად არ შეიწირა და, წინააღმდეგ შემწირველის სურვილისა, ნაყოფიერი არ გამოდგა. მაშინდელ ორად გაყოფილ ჩვენ თავად-აზნაურობაში, რატა თქმა უნდა, უთანხმობა და ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ებრძოდებ შინაურები გარეშრებს და ძლევაც ამათვე უნდა დარჩენოდათ, რომ გარეშე ძალას არ შეეშალა მათვის ხელი. სპარსეთისა და ოსმალოს პოლიტიკა მხარს აძლევდა გარეშრებს და საერო საქმეებს თავში უკენებდა. ვერც იღბულას სამართლის წიგნი, ვერც გიორგი ბრწყინვალის კანონები და ვერც ვახტანგის სჯულდება ველარ იფარავდნენ ქართველებს. გაიძვერული პოლიტიკა გარეშე მტრებს ყვვლას სკარავდა და ამგვარად ციხე შიგნიდან ტყდებოდა.

დღეს ძველი დრო გადასულია. თავად-აზნაურობამ თავისი პური შესჭამა და მაშინდელი გვართაბრძოლაც თან გაჰყვა. — სხვანაირმა ცხოვრებამ, სხვა გვარმა მოთხოვნილებამ და სულ სხვა კაცებმა იჩინეს თავი თავად-აზნაურობის ადგილი ახალთაობამ დაიკირა და ერისთავ-დიდებულებათაც მათი წარმომადგენლები არიან. ჩამომავლობითი ერისთავობა გათავდა... დღეს ის უნდა მეთაურობდეს, ვინც მართლა თავიანია. კეთილი და პატიოსანი! იმას რაღა აჯობებდა ჩვენ საკეთილდღეოდ, რომ ძველყ-

ბური „გვართა ბრძოლის“ მსგავსი სენი აქაც არ გაჩენილიყო!.. დღევანდელი ჩვენი მეთაურებიც, შურითა და მტრობით გამსჭვალულნი, ერთმანეთს აღარ ზოგვენ. ერთს აღმურას ათი და ოცი ბეჭა და ყვარყვარე სდევნის, ერთს სააკაძეს ასი და ორასი შადიმანი ელობება წინ და ერთს გივს ათასი და ათი-ათასი ჩია-კაცები აღარ აძლევენ მოსვენებას. საზოგადოდ დღევანდელი ძალაც აღმართსა ჰენავს, შინაურს ნათესში მხა-მზარეული გარეწრები ნამ-გალს ატრიალებენ, რომ სხვის ბაზრისკენ გაიტანონ. ერთი სიტყვით, დღევანდელი ჩვენი მოლვაწეობაც წარსული დედნის უტყუარი პირია.

ახლა გადავიდეთ მესამოცე წლების მოლვაწე-ებზე. ახალ ცხოვრებისკენ პირველი ბიჯი იმათ წარ-სდგეს და ერთხანად მათი შრომა-მოლვაწეობაც სწო-რედ მოციქულებრივი იყო, მაგრამ, ბოლოს, როცა ბანკები და არჩევნები უდროვოდ შემოგვეჩირა, მა-შინ ჩამოგარდა მათ შორის განხეთქილება და უთან-ხმოებამ თრ ბანაკად გაპყო. ერთი, რომელიც უფ-რო წინდახედული იყო და უფრო მეტს ფიქრობდა თავის თავზე, ვიდრე საზოგადოზე, და საზოგადო საქმეებსაც, რომელიც იმავე დროს მათთვის პირა-დათაც ხელსაყრელი არ იყო, გვერდს უვლიდა, რასაკვირველია, თავში მოექცა იმ გაფანატიკოსე-ბულ უმცირესობას, რომელსაც საპირადოზე თვი-თონ ხელი აელო,—და დაირჩინა ბურთი და მოე-დანი. დღევანდელი ახალთაობაც იმ ორის მაშინ-

დელ წარმომადგენ ელის მიმდევარია: უმეტესობა  
პრაქტიკულ წინდახედულობის და უმცირესობა კი  
იდეალისტის. „ხელი-ხელსა ბანსო“, რასაკვირველია  
პირველს უფრო მეტი აღმსარებელ მიმდევრები და  
მომხრეები ჰყავს, ვიდრე მეორეს, ამას ცხოვრების  
სიტკბოება მოითხოვს. და ამიტომაც ყოველგვარ  
დღევანდელ ჩვენ დაწესებულებასა და საზოგადო  
საქმეებში მეთაურებად არიან და თავისიანს, ეს იგი  
მათ მომხრეებს, როგორც მრჩევლებს, გზას უკვა-  
ლავენ, გინდ ულირსიც იყოს და ღირსეულ ურჩებს  
კი სდევნიან, საქმითაც და სიტყვითაც. ამ ცოდვების  
განსაწმენდათ მსხვერპლი არის საჭირო და ზვარაკად  
მომავალი ახალთაობა. მის მოსვლამდის კი ქვეყანა  
თვალ-ახვეულია. როგორც ებრაელები მოელოდნენ  
მესსიას, ისე ზოგიერთი მესამოცე წლების მოლვა-  
წენიც მოელოდნენ ახალდგმას\*). მათ რიცხვში გი-  
ორგი წერეთელიც, რომელმაც მეტის სულწასუ-  
ლობით კარლ მარქსის მოძღვრების ფეხის ამყოლე-  
ბი მიიღო „მომავლად“, უწიდა „მესამე დასად“ და  
სიმონ მოხუცებულსაებ სთქვა: აწ განმიტევეო. მაგ-  
რამ ვერ შოუვიდა ნამდვილი მიმრჩმელობა. რა იქ-  
ნებოდა ახალი აღთქმა, რომ ძველი აღთქმა სრუ-  
ლიად უარეყო და მის საფუძველზე არ აეგო ქრის-  
ტიანობა? — მესამე დასელებს ბევრი სიმართლე უჭი-

\*) რომელსაც იყქლისაგან უნდა გაეყო ლვარძლი და  
გორველა და გაეცალცალკევებია თიკანი და ცხოვარი.

რავსთ ხელში, როცა პირდაპირ ჰგმობენ ფარისევ-ლობასა და მეზვერობას და ჩვენი თანაგრძნობაც მათკენ იქნებოდა, რომ იმავე დროს სრულიად უარს არ ჰყოფდნენ წარსულს და ავსა და კარგს ერთისა და იმავე გოდრით არ აგორებდნენ უფსკრულისა-კენ. რასაკვირველია, ისინი ამას შერით, მტრობი-თა და სიხარბით არ სჩადიან. დარწმუნებულნი არი-ან თავისს სიმართლეზე და უნდათ, რომ ყველგან თავისი გაიყვანონ და, ვინც წინ ელობება მათ მო-ძლვრებას, უნდათ მისი ხალხის თვალში დამცირება; სცდილობენ, როგორმე თავიდან მოიშორონ და ხშირად, ნამეტანი ნდომის გამო, ლოლიკისა და სი-მართლის მხრით წაიფორხილებენ ხოლმე და ამით მათს გულწრფელობასა და მხნეობა-ბეჯითობას ბევრს უკარგავენ.

ის გზა, რომელსაც დღეს ისინი ადგიან, არა თუ გამოსადევია ცხოვრებაში, აუცილებლად საჭი-როა ჩვენთვის. მაგრამ გზაზე დადგომასაც და წინ-სვლასაც სიფრთხილე და წინ-დახედულობა ეჭირ-ვება. თვარი თავ-აღებულად ლაჯუნი ადვილად სა-დმე წააკვრევინებს ფეხს. მარქსმა სთქვა ერთხელ თავის თავზე: „რაც გინდათ ვარ, მაგრამ მარქსელი კი არა ვარო“. ამით რა იგულისხმება? ის, რომ მეცნიერს ბოლოს დროს ზოგად თვისი ნამოძღვრა-ლი აღარ ჭაშნიკებია და საზოგადოდ მისს მიმდევ-რებს ყველა ადგილი ისე ვერ გაუგიათ, როგორც თვით მოძღვარს ესმოდა. თუ ეს ითქვა განათლე-


ბულ ევროპიელების შესახებ, მაშ რაღა უნდა ვთქვათ ჩვენებურ მარქსელებზე, როგორც ანარეკლის ანარეკლზე, რომელნიც დედანს სიახლოვესაც არ მოჰკარებიან და რუსული აზრის ლარი გადაუღიათ და ისე გაცნობიან მარქსის თეორიას? — მე როცა ჩვენებურ მარქსელებზე ანუ მესამე დასელებზე ვამბობ, აქ სახეში ის უმრავლესობა კი არა მყავს, რომელთაც მარქსისა და შექსპირის ერთგანეთში გარჩევაც არ შეუძლიანთ და მხოლოდ ფეხის ხმის აყოლით იძახიან „დასელი ვართო“, მე მხოლოდ ისინი მყვანან მხედველობაში, რომელთაც გაეგებათ რამ. ამათი შეცდომა ის არის, რომ ცხოვრების ყოველგვარ საჭიროებას და მოვლინებას: სარწმუნოებას, ხელოვნებას, მეცნიერებას და სხვათ, მარტო მხოლოდ მატერიალისტურ სარჩულს უდებენ და ავიწყდებათ დიდი მოძღვრის სიტყვა: „არა პურითა მხოლოდ სცხონდეს კაციო“; — „აწმყო, ნაშობი წარსულისა, მშობელია მომავლისა“.

ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზედაც ხელს იღებს და, მარტო აწმყოზე შეჩერებულა, უსულდგმულო, საბირუტყვო ფარგალში რჩება. და ჩვენ კი გვინდა მისთანა მომავალი თაობა, რომელიც უარისმყოფელი კი არ არის წარსულის, მკვლევარია და მამა-პაპის ანდერძს დღესაც კიდევ გამოსადევ საფუძვლად უდებს მომავალს, რომ კავშირგაუწყვეტლა განაგრძონ ისტორიული ცხოვრება. მათ მოქმედებაში კაჭკაჭურ-მაიმუნური მიმბაძობა

კი არ უნდა სჩნდეს, მოფიქრებული, აწონ-გაზომი-ლი თავისთაობითი შრომა უნდა იხატებოდეს. ხში-რად ერთგან ის არის ხოლმე სასარგებლო, რაც მეორეგან მავნებელია. დროსა და აღგილს შერჩევა უნდა. მთაში რომ დარია ხოლმე საჭირო, იმავე დროს ბარში ბევრჯელ ავდარს ნატრობენ. გადმო-თესვასა და გადმომყნას ნიადაგის შესწავლა უნდა: ნაყოფი რომ ერთგან აღრე მწიფდება, მეორეგან—გვიან. დათესვისა და მომკის დრიაც სულ სხვა-და-სხვაა. ვისაც ეს არა აქვს შეგნებული, მისი მუშაო-ბა ნაყოფს ვერ გამოიტანს, დაკარგულია, და ხში-რად, როგორც უგნურების ნაყოფი, მავნებელიც. ავილოთ ორი დედა: პირველის შვილი კარგად გა-ზრდილია, მწვადის ჭამაც შეუძლიან და მონელებაც. მეორესი კი უსუსურია, ჯერ უკბილოა, რძის მეტი არა შეერგება-რა. მეორემაც რომ იმ პირველ დე-დას მიჰბაძოს და, აქაო და მწვადი უმჯობესია რძე-ზეო, უკბილო შვილს პირში მწვადის ნათლები ჩა-სჩაროს, ხომ მოჰკლავს? ხალხიც ასეა. ისიც თან-დათან იზრდება და ყოველ ხანში თავ-თავის შესა-ფერი საზრდო უნდა. განა შეუძლია ბულგარეთს, რომ ისმალეთს ამოუდევს გვერდში და მასთან ერ-თად მისის პროგრამით იხელმძღვანელოს ცხოვრე-ბაში? რატომ არაო, იტყვიან ჭირვეულები, თუ კი ორივე ერთად აღიარებენ მარქსის მოძღვრებას და ეკონომიურ მატერიალიზმს ხელს ჩაჰადებენ!.. და მიტომაც უნდა ამ თავითვე ვეტადოთ, რომ აქაც

და იქაც მარქსელები გავამრავლოთ და მანამდის სხვა-  
ზე ნულარაზე ვიფიქრებთო. კეთილი და პატიოსა-  
ნი! მაგრამ მანამდის ხომ ჩაიყლაპა ბულგარეთი? და  
ვინ არის, რომ თავს იკლავს უდროვოდ, რაღაც  
მხოლოდ სხვის სასარგებლო თეორიისთვის, თუ არ  
შემცდარი?..

„ვისაცა ესხნენ ყურნი სმენად, ისმინონ“.



## გამოწვეული ბასუხი.

„ზოგჯერ სინიდისიც კარგი საქონელიაო“;  
ამბობს ვაჭრული ანდაზა და სჩანს, რომ ეს მცნე-  
ბა აღარ მოჰვინებიათ „მშაკელებს“, როცა ცილსა  
სწამებდენ ქართველებს, რომ ისინი, კაცის-ჭამია  
ილიასა და აკაკის შეგონებით, მტრობენ და დეფ-  
ნიან უმანკო სომხებსო. „შენი მითხარ და გული  
მომიკალო“, რომ იტყვიან, აბა სწორედ ეს არის! და  
მაგრამ ტყუილად-კი არ არის ნათქვამი „სიტყვას  
ბაჟი არ ადევსო“. და სომხის მწერლებსაც სიტყვის  
საბაჟოსკენ მიუხარიანთ. ილიას ჯვარი ეწეროს, ჩემი  
გამოქომაგება არ ეჭირვება და მე-კი ჩემდა თავად  
უნდა მოვახსენო, რომ მათი სიტყვა სიმართლეს მო-  
კლებულია. აბა, ერთი მიგვითოთონ და გვითხრან:  
სად და როდის უთქვამს რომელიმე ქართველს სო-  
მხების სამტრო-საზარალო რაშ? და თუ მათი უკუ-  
ლმართობის საწინააღმდეგო სიტყვა მტრობა ჰგო-  
ნიათ, ეგ სხვა არის!.. რომელიმე ერის მტრობა და  
დევნა ქართველის ბუნების საზოგადოდ შეუფერებე-  
ლია. პირ-იქით—ქართველი ისტორიულად გულ-  
კეთილია, ბუნება-თანაზიარი, ბევრის ამტანი და  
უფრო მეტის კიდევ მიმტჭმბელ-შემნდობი.. ამას

მე ისტორიული სიმართლე მაღაპარაკებს და არა ეროვნული ფანატიზმი. „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენით“ და „მიუტევე, რათა მიგეტევოს“, ეს არის ქვა-კუთხედი ქრისტეს მოძღვრებისა და ქართველებიც ამაზე ამყარებენ თავისს ეროვნებას, გარეთ ონავრობა და შიგნით წურბელობა არ შემჩნევიათ. ქართველის ხმალი მხოლოდ მტრის მოსაგერებლად, ფარგვარიად, ამოდიოდა ქარქაშით და, დასცხერებოდა ხოლმე მტერი თუ არა, ქართველის გულისწყრომასაც მიზეზი აღარ ჰქონდა, მტრობას მოყვრობით უხდიდენ. საუკუნოების განმავლობაში მაჰმადიანთაგან ნაწვალებ ქართველობას კარგი გული აღარ უნდა შეტანილი მათ შესახებ, მაგრამ მიუხედავად ყოველიფრისა, საქართველოში მყოფ მაჰმადიანებს მაინც კიდევ ლმობიერად ეპყრობოდენ. და რაც შეეხება მათ ქრისტიან მეზობლებს, სომხებს, იმათ ხომ საკმელ-სანთლად გარს ევლებოდენ.

ადრე, იმ თავითვე, იწყო ცარვა სომხების ბედმა და, თუ მათგან ჩვეულებრივად გაზვიადებულ კილიკის მეფობას არ მივიღებთ მხედველობაში, მეხუთე საუკუნეშივე დაჰკარგეს მათ ეროვნული დამოუკიდებლობა და იმ გაჭირვებაში მყოფს, ვინ უწვდენდა ძმურად და მეგობრულად ხელს, თუ არ საქართველო? განა ცოტა ღვაწლი დასდვა დავით აღმაშენებელმა სასომხეთს? მეფე გიორგი მესამე არ იყო, რომ რამდენიმე ათი-ათასი ქართველი მეომარი უმსხვერპლა სომხების კეთილ-დღეობას და ქართველე-

ბის სისხლით მოჩწყო ან ის მიღამო? თამარ მეფის ლობიერად მათი მოპყრობა და ქართველებთან გათანასწორება, უმაგალითო რამ არ იყო, იმ დროს მიხედვით, ისტორიულად? და ეს არა ჩვეულებრივი სიმართლის მოყვარეობა და სულგრძელობა განადასავიშყარია? რომელი ერთი გავიხსენოთ?!.. ამას ქართველებისვე პოლიტიკური ინტერესი მოითხოვდა, იფიქრებს და იტყვის რომელიმე უმაღური. შეიძლება!.. ეგებ, მართლა, არც სულ უამისობა იყო, მაგრამ თავი და თავი მიზეზი კი ყოველთვის მეგობრული მიზანი ყოფილა: ქრისტიან მეზობლების უანგაროდ დახმარება. დიახ, ქართველებს სანამდის კი შეეძლოთ საგარეოთაც ფრთხის გაშლა, სახლვარ-გარეთაც ესარჩელებოდენ სომხობას და ბოლოს, როცა გარემოებამ მათაც ფრთხი შეაკვეცა და მარტოდა, მხოლოდ, სამშობლოს სახლვარზე იდგნენ გარეშემორტყმულ მტრების მოსაგერებლად, და მეტი რომ აღარა შეეძლოთ-რა, მტრისაგან აოხრებულ და უსახლ-კაროდ დარჩენილ სომხობას სამშობლოს კარებს უდებდენ, რომ მამა-შვილურად შეეხიზათ. წყლულზე მალამოს აღებდნენ და ანუგაშებდნენ, ისე, როგორც „ვეფხის ტყაოსნის“ ავთანდილი გემით მიმავალ ვაჭრებს, თავზე რომ მეკობრეები ესხმოდნენ. „ოქვენ ვაჭრები ჯაბანი ხართ, ომის უმეტარიო და რასაც ხელს არ შემიშლით, ვერას მომებმარებითო! ჩადით გემში, დაიმალეთ და მტერთან ბრძოლა მე მაცადეთო“.

სწორედ ამგვარადვე სკა ნუგეში ჯპატრონოდ და უმოწყალოდ, ბოგანოდ დარჩენილ მეზობლებსაც საქართველომ: „მოღით, შვილებო და აი მიწა-წყალი, ადგილ-მამული, რაც ჩვენთვის მოუკია ღმერთს, გაძლევთ სარჩო-საბადებლად და მასთანაც კიდევ ჩვენთან ერთად ეროვნულ თანასწორობასაცო. ამ ჩვენს სამშობლოსათვის თქვენც შვილებად შემო-დიხართ და საქართველოც ამიერიდგან ნამდვილ დედობას გაგიწევსთ და არა დედინაცულობასო. საუ-კუნეების განმავლობაში მტრისაგან დაღლილ-და-სუსტებულმა აქ, ჩვენს იღლიაში, შეიფარეთ თავი, მოისვენეთ და ჩვენ კი, მაღლობა ღმერთს, იმდენი ძალ-ლონე კიდევ შეგვრჩენია, საზღვრებზე დავდგეთ მტრების მოპირდაპირედ, რომ მოვიგეროთ და რო-გორც ჩვენი საკუთარი ცოლ-შვილი, ისე თქვენიც, მათთან თანასწორად განსაცდელს გადავარჩინოთთ. თქვენ კი მხოლოდ შინ დარჩით, ვაჭრობას მიჰყავით ხელი, რადგან ვაჭრობაც ეროვნულ არსებობის ერთი დარგთაგანია“. და მართლაც, როდესაც საქართველოს მაღალი წოდება საზღვრებზედ სისხლს ანთხევდა და დაბალი წოდებაც, იმ სამსხვერპლო სისხლს, ზედ ოფლაც აწურავდა, შემოხიზნულთა გადასარჩენად და გამოსაკვებად, ისინი (სომხები) მაშინ ადლითა და სასწორით ხელში სოფლებად დაფარფაშობდნენ უშიშრად და ქონებას იძენდნენ და თანაც მასპინძლებს აჯერებდნენ: თქვენი და ჩვენი ვის გაუყვია? ჩვენც თქვენივე ვართ და ჩვენი

შენაძენიც ამავე ქვეყნის არ არისო? ჰაიკ და ქართლოსი, განა, ღვიძლი ძმები არ იყვნენო? სწამდათ ეს სიტყვა გულუბრყვილო ქართველებს და შემოზიზნულების გულში ნატებს ვერა ჰედავდნენ. არც ერთხელ იჭვი არ შეუტანიათ მათ ნათქვამზე, თუმცა ენა ტკბილ-თავ-მოკატუნებულ „ვისამდა მოძმებს“ თავისი სიტყვა არც ერთხელ არ განუხორციელებიათ და ქართველებთან ერთად ქვეყნის სასამსახუროდ უდელი არ გაუწევიათ. პირიქით, არც ერთხელ არ დასდგომიათ ქართველებს შავი დღე, რომ აქ სომხის თითს არ ეჩიკინებიოს. შორს რომ აღარ გავწიოთ, აქვე გადახედოთ ტაბახმელას და ის გვეტყვის, თუ რა მოულოდნელის და ულმერთო ღალატით დაიღვარა ქართველების სისხლი აქ, როდესაც სვიმონ მეფე ტყვევდ ჩაუგარდათ ხელში თათრებს და ვინ იყო ის იუდა? ქართველებისაგან ძმად ნაგულები, სანდოდ არჩეული და ამაღლებული, სომეხი კარაპეტია ყორღანაშვილი. ვინ აქეზებდა და აგულიანებდა ირაკლი შეფისა და მთლად საქართველოს სამტროდ განჯის მფლობელს ჯევათხანს, თუ არ სომეხი არზუმანა? ვინ მოიწვია ხოჯახანი და ააკლებია და ააოხრებია ქალაქი, ვინ მიუგზავნა წინამძლოლად არტემა არარაცი სპარსელებს? ვინ გაულო ციხის კარგი და შემოიყვანა ტფილისის ასაოხრებლად, თუ არ მაშინდელმა მელიქებმა. თვით სომხის კათოლიკოსებიც კი, მაგალითად, ღუკასი და იოსები, მის ნაცვლად, რომ ლოცვა-კუ-

როცევით მოეხსენებიათ ის ერი, რომელმაც ძმობა  
და ერთ-გა გაუწია და იმდენათ შეიტკბო და პა-  
ტივი სცა მათ ქრისტიანობას, რომ მზა-მზარეულად  
საყდრებიც კი დაუთმო და მამა-პაპათა წვა და და-  
გვით ანაგებ ტაძრებში მესაკუთრეებად შეიყვანა,  
ლოცვა-კურთხევის მინიჭების ნაცვლად, საიდუმლო  
შეჩვენებას უგზავნიდენ და თან სცლილობდენ  
საშვილისშვილო ხაფენგის დაგებას. ამას განა არა  
ჰედავლენ ჩვენი ძველები, მაგრამ მაინც ვერ იმე-  
ტებდენ გულით სომხებს და თავს ატყუებდენ  
უჯერო მოსაზრებით: ამას კერძო პირები სჩადია-  
ნო!... ქრისტემ ვერ აირჩია თორმეტი მოციქული  
ისე, რომ ერთი იუდაც არ გამომდგარიყო და ამ-  
დენ სომხობაში რომ აქა-იქ, ხანდახან, თითო-ორთო-  
ლა მოლალატეც გამოერიოს, რა საერთოდ ყველის  
გადასახდელიათ. არ ეჯერათ, რომ ის თითო-ორთოლა  
საერთო, საერო მცნებისა და მისწრაფების წარმონა-  
შობები იყვნენ.—საკვირველია, რითი აიხსნება ეს,  
ერთი მხრივ გულწფელი ნდობა და სიყვარული და  
მეორით მტრობა და გაუტანლობა? „წყალ-წალე-  
ბულშა თუ ხელი ჩაავლო მიმშველ-მცურავს, ჩაით-  
რევს და დაალრჩობსო“ ამბობენ და სომხებიც სწო-  
რედ ასე ეტიდებოდენ ქართველებს: უნდოდაო,  
რომ ახალი სამშობლო, დანაკარგ სამშობლოს სამა-  
გიერო ეშოვნათ საღმე და იღოვმის ქვეყნად მიაჩნ-  
დათ საქართველო. ქართველის სიკვდილით ჰსურდათ  
სომხის მკვდრეთით აღდგინება. ეს შეცდომა იყო

მათის მხრივ, მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ ამას ყოველიფერს დაკიციშვებდით, რომ დღევანდელი სომხობა, მამა-პაპის ძელ ანდერძს არ იმეორებდეს კიდევ ამ ჩვენ დროშიაც.

„ძმობა და ერთობა კარგი სათქმელია და კიდევ უკეთესი გასაგონი, მაგრამ ამას განხორციელება უნდა და არა საპიროვერაო და საპირბადო მოსატყუარ-ლათარად გადაქცევა. რასაც დღეს „მშაკელები“ ამბობდნ „ძმობისა და ერთობის“ შესახებ, ეს ადრეც, იმ თავიდგანვე, გაგვიგონია სომხების მეთა-ურებისაგან, მაგრამ... მხოლოდ გაგვიგონია, ჩვენივე თვალების ასახვევედ და საქმით კი არა გვინახვს რა! მაშინ, როდესაც ჩვენ, ქართველები, ყოველთვის ვყოფილვართ და ვართ ამის მოწადინე. მესა-მოცე წმლებშივე ჩვენი საერთაშორისო მცნება ძმობა და სიყვარული იყო და სხვა არა გვიმოძლვრია-რა. განსვენებულმა გ. წერეთელმა ეს სამოყვრო სურვილი საფლავში თან ჩაიტანა. აგრეთვე სერგეი მესხმაც. თვით ის ილია ჭავჭავაძე, რომელიც ბო-ლოს დროს იძულებული გახდა „ქვათა ღალადი“ დაეწერა და რისთვისაც დღეს აღარ სწყალობდნ „მშაკელები“, ამავე სურვილით იყო გამსჭვალული და დიდხანს ულოლიავებდა სომხის ახალგაზდობას, რომ ეგებ როგორმე დავიყოლიო და შევაგონო მათ ის, რაც ჩვენ ორივესათვის სასარგებლო და საკეთილდღეო არისო.

განა დილი ხანია მას შემდეგ, რაც ის მათთან ერთად ორთაჭალის ბალეჩიში „კეცეო!“ გაიძახოდა და ვერის ბალებში, ბებუთლვის საღილზე, მუნასი-ბებს უძლვნიდა სომხობასა და მათ ისტორიას? მა-შინ ძალიან მოსწონდათ?!.. აკი ბეჭვდითაც შეაქეს მისი სიბრძნე და სიმართლის მოყვარეობა? დღეს რაღათა სდგანან სხვა გუნებაზე მის შესახებ და ჩემ-თან ერთად უკიუინებენ ჩამორჩენილობასა და დამ-ყაყებას? თვით მე, მათი უმორჩილესი მონა, მო-სურნე არ ვყოფილვარ ყოველთვის „ძმობისა და ერ-თობისა“? გადაათვალიერონ „დროების“ ფურც-ლები, გადიკითხონ ჩემი სტატია: „ლუკმა გავარ-დეს, ჯამში ჩავარდესო“ და მაშინ მიხვდებიან ჩემს განზრახვას! და თუ დღეს იმედი გადაგვიწყდა, აღა-რა გვჯერა-რა მათი, ეს მათივე ბრალია! განა, დრო არ არის ჩვენც მივხვდეთ, რომ: „სიტყვა სხვაა, სა-ქმე სხვაა, შუა უზის დილი ზღვარი?“

ჩვენ გვეგონა, რომ დღვევანდელი სომხობა მა-ინც გამოიყიდდა მამა-პაპათა შეცდომას, გაასწორე-ბდა მათგან გადანახვევ გზას და ქართველების შე-სახებ საჭირ-ბოროტო მცნებას სამოყვროდ გადაა-კეთებდა, მაგრამ მოგვიცდა მოლოდინი, აგერ ორ-მოც წელიწადზე მეტია, სამტრო ნიშნების მეტს ვე-რასა ვხედავთ მათის მხრივ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მამები უფრო ფრთხილად მოქმედებდენ და ესენი კი თავს აღარ იმალავენ. ალბათ იმიტომ, რომ გარემოება შეიცვალა: ძველად, როცა ხმალი

სჭრიდა, ძალა ქართველების ხელში იყო და, რასა-  
კვირველია, რომ ჩვენი გული მოეგოთ მოტყუფით  
სიფრთხილით, თვალის ახვევით. და ახლა კი, რო-  
დესაც მისი ადგირი ქონებამ დაიჭირა და ფული  
სჭრის!.. აშკარაზე ფოტხვერივით გამოდიან და მუ-  
ქარით გვიშვევენ: მაღლობა ღმერთს, თქვენი შესა-  
ხვეწარი და თქვენთან საბოდიშო ალარა გვაქცე-  
რაო... მობრძანდით და ვიბრძოლოთო!.. ა ბურთი  
და ა მოედანიო. აბა, სამაგიეროს გადახდაც ამას  
ჰქვიან! ადრინდელი ჩვენი ძმური დახმარება და  
ლომბიირად შეწყნარება ჩვენი მამა-პაპების უქცუო-  
ბისა და პოლიტიკურ დაბრმავების ნაყოფი ჰგონიათ  
და დღევანდელი მათი მედიდურობა და უსამართ-  
ლოდ მოპყრობა და სამტრო იერიში კი სიბრძნისა  
და შორსმჭვრეტელობის ნიშანი. რაღა გვეთქმის?..  
მჭედელმა უთხრა მოპირდაპირე მტერს: მე ის კი  
არა მწყინს, რომ მოკვლას მიპირებო, ის უფრო მა-  
წუხებს, რომ იარაღათ ხელში ჩემივე გაჭედილი  
ხანჯალი გიჭირავსო. აშოროს, სომხებს კურთხეულ  
საქართველოში, გარდა ტიტველა ტანისა და მშიერ  
მუცლისა სხვა არა შემოუტანიათ.რა და ის იარაღი,  
რომელიც დღეს ხელთ უჭირავთ, საქართველოშივე  
აქვსთ მონაგარი, მაგრამ არა შრომითა და კეთილ-  
მოღვაწეობით! ეჭ, ასეა თუ ისე, ახლა გვიანდა  
არის ამაზე ლაპარაკი. კიდევ მაღლობა უფალს, რომ  
დღეს ჩვენთვისაც ალარა არის-რა დაფარული. საა-  
შკაროზე სდგას დღევანდელი სომხობა. აწმყოს რომ

აღარ სჯერდებიან, წარსულით გვეპოტინებიან და სცდილობენ დააჯერონ უკეთელები, რომ ქართველები არც არიან და არც ოდესმე ყოფილანო. მხოლოდ ჩვენ კი ვყოფილვართ, ვართ და კიდეც უნდა ვიყოთო. ისტორიული სიმართლეც ხელში გვიჭირავსო!.. ამ სათვალომაქციო მოსაზრებით, ფეხითა სთელავენ ჩვენს ისტორიას, რომ მით ნათლად წამოაყენონ მათგანვე გადახვეულ და გადაყალბებული ვითომდა მატიანეები...

ტყუილის თქმას და სათაღლითია სიტყვას უტიფარი გულთქმაც თანვე ახლავს. ერთის მქნელი მეორესაც ჩაიდენს და მიტომაც ჩვენ აღარ გავიმეორებთ იმას, რასაც ისინი ჩვენ შესახებ სიტყვით ავრცელებენ. და მარტო მხოლოდ იმ ფაქტებზე მივუთითებთ, ძეგლებად რომ გამოუქვეყნებიათ და რისაც გადათქმა და გადაფუჩეჩება აღარ შეუძლიათ: 1) უკეთესი მათი ისტორიკოსები, მაგალ. პროფესორი პატკანოვი, წარბ-შეუხრელად სცდილობენ დაამტკიცონ: საისტორიო როდის რა ჰქონიათ ქართველებს, რომ ისტორია ჰქონდეთო? მათი ქართლის ცხოვრება ტერტერებისაგან სასაცილოდ გამოგონილი ზღაპრებიათ და ვახტანგ მეფემ და სხვებმა კი ნამდვილად მიიღესო. 2) მათი ნაქები მოღვაწეები, მაგალითად ეზოვი, საოცარის ზიზლითა და მძულვარებით ცილსა სწამებს ქართველობას და იმ სამტროდ გამოგონილ წერილებს სომხებისავე არა ეზოვზე ნაკლებად ცნობილი პუბლიცისტი უ. ჯან-

შიევი სიამოვნებით ჰბრჭდავს იმ საზიზლარ ცილის-წამებას თავის გამოცემულ „კრებულში“ და ამაყად უმახარობლებს ქვეყანას: აი ან რა ყოფილან და ან დღეს რა შვილები ბრძანდებიან ქართველებით. 3) ესევე ჰუბლიცისტი ჯანშიევი თავისს ცალკე გამოცემულ წიგნში, რომელსაც სახელიდ „კავკასიის მარგალიტს“ უწოდებს, როგორც ვითომდა სიმართლის მექონი იურისტი ბორჯომში შუაგულ სომხეთად აღიარებს და თანკვე დასძენს, რომ სანიძეები, მუჩაიძეები და სხვა ძებიცა და შვილებიც სულ სომხის ჩამომავლობისა არიან, თორემ იანცებს წინ რაღა დაუდგებაო? ყოველგვარი მოხელეობა სომხების ხელშიაო, ასე გასინჯეთ, რომ ხაბაზებათა და მეეტლეებათაც სომხები არიან, თორემ ზარმაცი ქართველი და მისი ჭიუა ან ერთსა და ან მეორეს როგორ მოახერხებსო? სულ ამგვარი ტენდენციით არის გატენილი და ახატულ-ჩახატული ეს ცალკე წიგნი. 4) უპირველესი სომხების მგოსანი „ქამარუქათიბა“ (რაფაელ პატკანვი) ერთს თავისს ლექსში დამდერის: წყეული იყოს ის სომები, რომელმაც ქართველი ძიძა სახლში შემოიყვანოს და შეჩვენება იმ სომებს, რომელიც ქართველის ძუძუთი იზრდებოდესო. 5) დღევანდელი სომხების ახალგაზღობა უცხოეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში ჩეფერატებს კი-თხულობენ, რომ სომხები აღამაღლონ და ქართველები კი დაამდაბლონ ქვეყნის თვალში. აქართველებს ანბანიც კი ჩვენმა მესროფმა უწყალობაო, და

რჯულიც ნინომ მისცა, რომელიც სომხის ქალი იყო! და სხვანი... 7) სომხის სემინარიიდან გამოსული დიაკვნები სამრეკლოებისა და ძველ ციხე-დარბაზ-ტაძრების სათავეებინაც კი მიკოცავენ ნამალევად, რომ იქ ზედ წარწერილი ქართული გადაფხიკონ და ნაცვლად სომხური „ჩაუპოდლოღონ“, ვითომ და აქაც სასომხეთი ყოფილაო და ქვეყანა მთატყუონ. აյი კიდევაც შეაცდინეს გრაფინია უვაროვისა, რომელმაც დასწერა, რომ, როგორც ზედ-წარწერიდანა სჩანს, მეტების სიონი სომხების აგებული ყოფილაო. რას მოიფიქრებდა მეცნიერი, რომ აქაც სიყალბე იქნებოდა?!.

არა, რა ეკონომიკური ბრძოლაა ის ბრძოლა, რომელსაც მხოლოდ საფანტაზიო პოლიტიკური სარჩელი უძევს და სხვა კი არაფერი? ეკონომიკურ ბრძოლასაც თავისი საკუთარი პატივსადები კანონები აქვს და მას საერთო არა აქვს-რა უსამართლო ცარცვა-გლეჯასთან, რომელსაც საზოგადოდ არსად და არა-სოდეს კანონი არ იწყნარებს. მაგალითად, მგელი რომ ცხვარს იტაცებს, ესაც, რა თქმა უნდა, ბრძოლაა არსებობისათვის, მაგრამ, აქაო-და დარცინმა ეს გვამხილაო, არავინ გულგრილად არ შეჰყურებს მგელსა და არ ეუბნება: მე მეცნიერი კაცი ვარ, დარვინი წაკითხული მაქვს და წაიყვანე ევ ცხვარი, ღმერთმა შეეგაროსო. ერთი მეორეს რო უჯეროთ და უსამართლოდ რამეს წაართმევს და წააგლეჯს, ესე იგი, იმას წაილებს, რაც არ ერგება, ესეც ფი-

ლოსოფურის შეხედულობით, კანონიერი მოვლინებაა, მაგრამ აბა ერთი სინჯოს რომელიმე ქართველმა, მოსამსახურემ, ან მზარეულმა ან სხვამ და ცოტა რამეს ჩამორჩეს შის ხაზეინ-სომეხსა, თუ იმ ბატონმა ქვეყანა არ შესძრას და სასამართლოს კარებზედაც ტალახი არ ააყენოს?! მაშინ ეკონომიური პრინციპებიც და ფილოსოფური შეხედულებაც დავიწყებულია!..

ჩვენ თქვენ თვალ-წინ მაღაყებს გადავალთ და თქვენ კი თვალი დახუჭეთო!.. ამაზე მეტი შეტკოვარი, უსამართლო თავ-გასულობა, განა კიდევ შეიძლება? ქორს რომ წიწილი მიაქვს „ჰაუე ჰაუე!“ შესძახებენ, ნადირი რომ შინაურ ოთხფეხს მოიტაცებს, იმას შეუქანებენ ხოლმე! ამას ცხოვრების კანონი მოითხოვს. და, როცა შენი წარსული, აწმყო და მომავალი უნდათ წაიტაცონ, მაშინ კი დაჩუმდით, ხვას ნუ ამოიღებთ, თორემ ჩვენებურად შეგამკობთ: ესე იგი, უგუნურს, გამოყრუებულს, დამყაყებულს, სომხის-ჭამია აკაკიებს დაგიძახებთო!.. რუსული ანდაზაა „ვისაც მგლისა ეშინია, ის ტყეში ვეღარ ივლისო!“ ჩვენ რომ ამისთანაებისა გვშინებოდა, დღეს ხსენებაც აღარ იქნებოდა ჩვენი. ცველას თავისი სინიდისი ატარებს. ის თქვენი მოწონებული სომხობის მომღერალ-ქართველები, როგორც ნებავდესთ, ისე მოიქცნენ და ჩვენ კი, დღეს თქვენგან სომხის-ჭამიებად მონათლულები, ჩვენსას ვერ მოვიშლით, ჩეენს რწმენას ვერ ვუღალატებთ და

ყოველთვის იმას კურჩქვთ ჩვენ თანამოძმევებს, რაც  
დღემდისაც გვირჩევია: ძმობას, სიყვარულსა და  
ერთობას არა თუ მეზობელ ერებთან, შორეულებ-  
თანაც კი. ღმერთმა ისე ნუ დასცეს ზნეობითად  
ქართველი, რომ იმან სხვისი უბედურობით მოიწადი-  
ნოს თავისი საკუთარი ბედნიერება და ონავარ-  
წურბელაობა დაიწყოს. ნუ დაავიწყოს მამა-პაპური  
ანდაზა: „რაც არ შერგებაო, არ შემერგებაო!“ მაგ-  
რამ ნურც ისე დაამდაბლოს და დასცეს, რომ ავისა  
და კარგის გარჩევა აღარ შეეძლოს, მტერსა და  
მოყვარეს ვერ სცნობდეს და მტრის მოსაგერებლად  
ფარი ველარ დაიჭიროს ხელში.

რომელი ერთი ჩამოვთვალო? ამ ცხოველ ფაქ-  
ტებზე რომ მივუთიერებთ ხოლმე ჩვენ სომხების მეთა-  
ურებს და მათაც რომ უარის ყოფა აღარ უხერ-  
ხდებათ, ვითომ-და გულ-მტკივნეულად უბოდიშე-  
ბენ ხოლმე თანამოძმევებს: მართალია, შემუდარნი  
არიან, მაგრამ მაგათ შეცდომას ხალხის გრძნობა-  
მოქმედებასთან საერთო არა აქვს-რაო. ეგინი სულ  
სხვა არიან და ნამდგილი ხალხი კი სულ სხვააო.  
საკვირველია ჭეშმარიტად!.. მეცნიერები, ისტორი-  
კოსები, პუბლიტისტები, პროფესორები, პოეტები,  
მლეალები, დიაკვნები, ნასწავლი და უსწავლელი,  
დიდი და პატარა, ყველა ერთად საოცარის შეთან-  
ხმებით მოდიან იქრიშს ჩვენზე და ეს თურმე უმან-  
კო შეცდომა ყოფილია; რომელსაც ხალხთან საერ-  
თო არა აქვს-რა!.. კი მაგრამ, საღლაა ის სომხობა,

რომელსაც ჩვენ ვერა ვხედავთ და რომელიც ჩვენ-ზე ცუდს არ განიზრახავს? ის ხალხი ხომ არ არის, რომლის შეცადინ ეობამ იძულებული ჰყო, რომ ბა-თომის ოლქიდან ქართველი მაპმაღიანები აყრილი-ყვენ, სათათრეში გადახვეწილიყვენ და მათი მიწა-წყალი კი სომხებისათვის დაეტოვებინათ? ან ისინი, დღეს რომ საქმეს უჭირვებენ ხალციხის მკვიდრთ და ან კიდევ... მაგრამ ემარა, ამაზედ მეტი აღარა ვსთქვათ-რა! რაცა ვსთქვით, ესაც იმიტომ, რომ ვაგრძნობინოთ ჩვენ მოკამათეებს და დავანახვოთ, რომ ჩვენცა ვხედავთ და თუ ჩუმათა ვართ სულ სხვა მოსაზრებით. ჩვენ სასიკულილოთა და გასა-ნადგურებლად მოტანილ იერიშს ბატონი ჰეთაურე-ბი უბრალო, უმნიშვნელო შეცდომათა სთვლიან? კეთილი და პატიოსანი. მაშ, რატომ სომხების უურ-ნალ-გაზეთები არ აღნიშვნენ ხოლმე ამ შეცდომებს? ისინიც მათთან ერთად რად არიან და პირ იქით კვერსაც სცემენ სადასტუროს? აბა, ამასა ჰქვიან: „ფიცი მრწამს და ბოლო მაკვირვებსო“. ინტელი-გენციის განზრახვასა და მოქმედებას რომ უბრალო შეცდომითა ხსნიან, ახლა ენახოთ დაბალი ხალხის ონაგრობას რაღას ეძახიან? ესო, ამბობენ, მსოფ-ლით კანონიაო!. თქვენ, ქართველებს, არ გესმისთ, თორებ ამაზე ხმასაც არ ამოილებთო. ეს ჩვეულებ-რივი ეკონომიკური მოვლინებაა და უბრალო ბრძო-ლა აოსებობისათვისო! საკვირველია, რომ ამ ვაჟ-ბატონებს მარქსისტური თეორიებიცა და დარვინის-

ტური მოძღვრებაც ცალ-გვერდათ ქსმისთ, თითქო  
ამ მეცნიერებს მათი ოხზულება საკუთრად სომხე-  
ბისათვის დაეწეროთ: რაც იმას გამოადგება, ის  
თეორიაც არის და ჭეშმარიტებაც ქვეყნისათვის და  
რაც არ ეჭაშნიკებათ, ის კი უბრალო, უმნიშვნელო  
ტიტინი!..

